PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT

TSUTSKIRIDZE+ARCHITECTS
info@tsutskiridze.org
www.tsutskiridze.ge

დამკვეთი **ბრიტანულ-ქართული აკადემია**

მისამართი: ლეო კვაჭაძის ქ 17 (ლისის ტბის მიმდ.)
თბილისი, 0186 საქართველო

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

პროექტის კორექტირება

პრ. მთ. არქიტექტორი: დ. ცუცქირიძე

დაამუშავა: ბ. გოგოლაური

ქ. თბილისი 2022წ

PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT
PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT
PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT

შინაარსი

ა/--განმარტებითი ბარათი;

ბ/--კალენდარული გეგმა;

გ/--გრაფიკული ნაწილი: ნახაზი მო-1

ა/ განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად და "საქართველოს მთავრობის დადგენილება №255, მუხლი №№18, 20"-ის თანახმად.

საპროექტო ობიექტი --ბრიტანულ-ქართული აკადემიის მშენებლობის დამთავრება კორექტირებული პროექტის მიხედვით და ახალი ხიდის მოწყობა. საპროექტო შენობა შენდება ქ. თბილისში, ლეო კვაჭაძის ქ№17 /ლისის ტბის მიდებარე ტერიტორია/. შენობის კონსტრუქციის ჩონჩხედი წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასს, რომლის ელემენტები- კოლონები, რიგელები და გადახურვები მონოლითური რკინაბეტონისაა. სახურავი იქნება ბრტყელი.

პროექტის კორექტირება შეიცავს შემდეგ სამუშაოებს:

-1 სართულზე ღია სასწავლო სივრცეში დაკორექტირდა შიდა ოთახების გეგმარება;
1 სართულზე დაემატა გასასვლელი ხიდი არსებულ გარე კიბეზე და დაკორექტირდა მიმდებარე 2 საკლასო ოთახის გეგმარება;
მე-2-ე სართულზე დაკორექტირდა კაფეტერიის გეგმარება და დიდი საკლასო ოთახი გაიმიჯნა 2-ად;
მე-3-ე სართულზე დაკორექტირდა ოფისის სივრცის გეგმარება და 1 ოთახი გაიყო 2-ად;
ფასადზე მინის ვიტრაჟების ნაცვლად მოეწყობა ალუმინის ფანჯრები და დარჩენილი ამოშენდება და გაილესება

2. საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა არ განისაზღვრება СниП 1.04.03-85. დარჩენილი და კორექტირებული სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე მიღებულია **T=5.00 თვე.**

მოსამზადებელი სამუშაოები უკვე შესრულებულია.

3. გრუნტის სამუშაოები უკვე შესრულებულია.

4. წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს საავტომობილო ამწის და ბეტონის ტუმბოს გამოყენებას.

მეორე რიგი--------ძირითადი პერიოდის სამუშაოები:

--მეხუთე ეტაპი---ფლიგელის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა +3.35 ნიშნულიდან-------**15 დღე;**
--მეექვსე ეტაპი---ფლიგელის სახურავის და გადახურვის მოწყობა----------**15 დღე;**
--მეშვიდე ეტაპი—არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა----------**30 დღე;**
--მერვე ეტაპი----ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო ქსელების მოწყობა და ტექნოლოგიური

მოწყობილობების მონტაჟი----------15 დღე;
--მეცხრე ეტაპი----შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები ----------90 დღე;
--მეათე ეტაპი-------მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები----------15 დღე.
აგრეთვე:
--სამუშაოების შესრულება კორექტირებული პროექტის მიხედვით, ახალი ხიდის მოწყობა----------120 დღე

5. უსაფრთხოების ტექნიკა

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებს და თავსაბურებს.

მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

“გაშიშველი” სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.

სამონტაჟო მექანიზმის მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

6. გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.

პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი /სამშენებლო მოედანი /აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი დროებითი ღობით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ექოსისტემა;
-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;

-ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

არსებობს შემდეგი კანონები:

კანონი "გარემოს დაცვის შესახებ" 1996წ განსაზღვრას იმ ზოგად მოთხოვნებას , რომელიც უკავშირდება ჰაერის დაბინძურებას, წყლის აღებას და ჩაშვებას, ნარჩენებს, ხმაურს და სხვა საკითხებს.

კანონი "წყლის შესახებ" 1997წ შეეხება ზედაპირულ წყლებს, მიწისქვეშა წყლებს, მიმდებარე სანაპირო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვარს და განსაძვრავს წყლის აღებისა და ჩაშვების ლიცენზირებასთან დაკავშირებულ წესებს.

კანონი "ატმოსფერული ჰაერის შესახებ" 1997წ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლის და დაბინძურების შეზღუდვის დროებითი მეთოდოლოგიას, ჰაერის ხარისხის შედარება სტანდარტებთან, რომელიც სახსტანდარტს ეფუძნება.

კანონი " მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ" 1998წ მოიცავს მავნე ნივთირების კლასიფიკაციას და უსაფრთხო მოხმარებას.

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

ბეტონის შემოტანა უნდა მოხდეს სასაქონლო წესით ---ბეტონის ტუმბოს საშუალებით.

საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს უნდა ჩამოეფაროს ფარად, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა.

მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა ღიად დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა. შენობა საჭიროა აღჭურვოს კონუსური ტიპის ნაგავგამტარით, ნაგვის ჩამოცვლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი ავტომანქანების ძარაში.

7. წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-1 ერთად.

საავტომობილო ამწე KC-3575A-ის ტექნიკური დახასიათება

1. ისრის სიგრძე----------15.50მ
2. ისრის შვერა----------9.00-20.60მ
3. ტვირთამწეობა----------0.30-1.50ტნ
4. აწევის სიმაღლე----------21.50-1.50მ
5. ბატიტელის სიგრძე----------6.00მ

ყურადღება!!! ნებისმიერი მექანიზმის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად.

ბ/ კალენდარული გეგმა 5.0 თვე
დარჩენილი და კორექტირებული სამუშაოები

№ ეტ	მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგები და ეტაპები	დღე	თვეები									
			1		2		3		4		5	
			15	15	15	15	15	15	15	15	15	15
	მშენებლობის მეორე რიგი											
	მშენებლობის განხორციელების ძირითადი პერიოდის სამუშაოები											
Y	ფლიგელის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა +3.35 ნიშნულიდან	15	—									
YI	ფლიგელის სახურავისა და გადახურვის მოწყობა	15		—								
YII	არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა	30			—	—						
YIII	შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო–ტექნიკური ქსელების მოწყობა ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი	15	—									
IX	შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები	90		—	—	—	—	—				
X	მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები	15							—			
	სამუშაოების განხორციელება კორექტირებული პროექტის მიხედვით											
	-1 სართულზე ღია სასწავლო სივრცეში შიდა ოთახების გეგმარება 1 ელ სართულზე გასასვლელი ხიდის დამატება და 2 საკლასო ოთახის გეგმარება მე-2 სართულზე კაფეტერიის გეგმარება და დიდი საკლასო ოთახის გამიჯნა 2-ად მე-3 სართულზე ოფისის სივრცის გეგმარება და ოთახის გაყოფა 2-ად შენობის ფასადზე მინის ვიტრაჟების შეცვლა ალუმინის ფანჯრებით და დარჩენილი ნაწილის ამოშენება და შელესვა ხიდის მოწყობა	120			—	—	—	—	—	—	—	—	—

შენიშვნები:
1. მშენებლობის განსაზღვრული ვადის ათვლა განხორციელდება მშენებლობის ნებართვის აღების შემდგ.
2. ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ 10 დღით ადრე.

PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT

მშენებლობის დროს დროებითად გამოყენებული იქნას დამატებითი ტერიტორია ს/კ 72.16.21.940, დროებითი "ნაგებობებისათვის" მარტო.



საჭიროების შემთხვევაში, საპროექტო ხიდის მშენებლობისას დაყენდეს საავტომობილო ამწე.

ექსპლიკაცია

1 დასამთავრებელი საპროექტო შენობა
2 საპროექტო "ხიდი"
3 არსებული შემოღობვა
4 სატრანსფორმატორო
5 დროებითი ბიოტუალეტი
6 დროებითი დახურული საწყობი
7 დროებითი მუშა-პერსონალის "ოთახი"
8 სამუშაოთა მწარმოებლის "ოთახი"
9 დროებითი კონსტრუქციების საწყობი
10 დროებითი შლაგბაუმი
11 სკოლის დაცვის "ოთახი"
12 დროებითი დაცვის "ოთახი"
13 დროებითი LMC "ოთახი"
14 დროებითი ღობე
15 საავტომობილო ამწე
16 დროებითი ღია სასაწყობო

პირობითი აღნიშვნები

-საპროექტო შენობა-ნაგებობა
-არსებული შენობა
-არსებული შემოღობვა
-დროებითი "ნაგებობა"
-დროებითი ღობე

A 3 M 1:700 CAD / dwg

Note

Legend

Explication

დამკვეთი
ბრიტანულ-ქართული აკადემია

მისამართი:
ლეო კვაჭაძის ქ 17 (ლისის ტბის მიმდ.)
თბილისი, 0186 საქართველო

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი
პროექტის კორექტირება

15.2 / 2.2

04.29.2022

სამშენებლო გენგეგმა

პრ. მთ. არქიტექტორი: დ. ცუცქირიძე
დაამუშავა: ბ. გოგოლაური

TSUTSKIRIDZE+ARCHITECTS

info@tsutskiridze.org www.tsutskiridze.ge

PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT
PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT
PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT